ეროვნული
ბიბლიოთეკა

კახეთი
სუხიტაშვილი

K 246914
3



ლექსები

F 86341
3

ვახტანგ სუხიტაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამითხრ-ეჭ...

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკას ავტორისაგან.
28.VII.05.
ქ. თბილისი.

გამომცემლობა „ლეგა“
თბილისი 2005

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტად შობილი

ვახტანგ სუხიტაშვილი ქართლის შუაგულიდანაა. იგი გორში დაიბადა და გაიზარდა.

აკი თავადაც ამბობს:

„მე არ მივლია მონმარტრზე
და არ მინახავს არბატი,
დრო კი გალეწილს მომათრევს
მისი შხამით და შარბათით.
არა მწყურია სისხლი და
არ მელანდება კორიდა:
მზის სხივმა ამომისხლიტა
მე „მზის დახრისას“ გორიდან“.

ვახტანგის ლექსები ქართლის ხეობასავით დინჯი და ფიქრიანია, ბევრი სევდის და სიხარულის აღმძვრელი. ახალგაზრდა შემოქმედი რითმით არ კეკლუცობს მხოლოდ, ის უფრო სათქმელს ამბობს - წარსულის ამბებს გიყვება, მომავლის იმედით ხარობს. მისგან შორსაა ყალბი გრძნობები და ყალბი პათეტიკა. აქვს მშვენიერი ლირიკული ლექსები. წინამდებარე წიგნი ავტორის მეორე წიგნია

სულ ახლახანს ვახტანგ სუხიტაშვილმა დედა უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხიც მოიპოვა. იგი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა.

ასე რომ, სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი ორი მუზის მსახურია. რომელი გადასძალავს ღმერთმა უწყის. მის სულიერ კრედოს კი ნამდვილად დაეჯერება, როცა ამბობს:

ვერ შეიქმნები პოეტად,
აღმა ხანი და დაღმა ხან.
პოეტად უნდა იშვა და
პოეტად უნდა დაგმარხონ!
მის გასავლელ გზას გაუმარჯოს, მის საწაღმართო

თემურ ჩალაბაშვილი
2005 წელი, 9 ივნისი, ამაღლება!

K246914

წიგნის გამოსაცემად გაწეული ფინანსური დახმარებისთვის მადლობას მოვახსენებთ ცხინვალის ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბატონ სოსო ვახტანგაშვილს

© გამომცემლობა „ლეგა“
© ვახტანგ სუხიტაშვილი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალ სამაჩაბლომდე

ქართველ ახალგაზრდებს

ახალ სამაჩაბლომდე ძველი აბაზგიიდან
სანამ კაცი ქართველი გულის ფეთქვას მიიტან,
სანამ გრჩება სამყაროს გრძელი გასავლელი
გზა,
სანამ რწმენა იქცევა ფერფლადა და ფენიქსად...
სანამ კვლავ დაიწყება აღდგომის დღე ნათელი,
სანამ ზეცა მოელის შენს ოცნებას გათელილს,
სანამ ქართლში გაისმის ლტოლვილ ჩვილის
ტიტინი
და წინაპრის საფლავზე შრიალებენ ტიტანი;
სანამ უცხო ენაზე წოდებული „Цхинвал“-ის
მთის კალთებზე კვლავ ღელავს ზურმუხტისფრად
რცხილნარი,
ახალ სამაჩაბლოში ძველი აბაზგიიდან
მჯერა, კაცი ქართველი გულის ფეთქვას მიიტან!

27.V. 2005.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სევდიანი ლექსი

ვერრა დააკლო სარკმელს ქარ-წვიმამ
და როგორც კლდიდან ფრთები არწივმა,
გავშალე ჩემი სევდის დოვლათი.
ზეცას კი სხივი ვეღარ ეღირსა.
ეს განთიადიც შეღამებიდან
იცვამს სითეთრეს პირველ თოვლამდის.
დარდი ბოლომდე რომ არ ამოქრეს,
ოცნებიდანაც სხივებს ამოვკრეფ
და შემომრჩება ფიქრში ობლად ის აბობოქრება...

17.X.1998.

ახალი წელი

დაცეხვილი ფიქრი. ვზივარ განაბული.
სუფრის მეინახე დღეს არავინ მყავს.
სიკვდილისკენ მივქრი, გახეთქილი გულით
და ოცნებით კაკალს ვაგდებინებ ყვავს.
მე არა ვარ ღმერთი, მაგრამ პოეტი ვარ!
მთელი მოკრძალებით შეგახსენებ თავს
და გეტყვი რომ შენი ჭრელი სული მტკივა,
ცხოვრება კი თავის სადღგერძელოს რთავს...

5.I.2000.

რადგან სიცოცხლეს სიცოცხლე უჭირს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე არ მინდოდა ოცნებით ფუჭი
მომავლის ბნელი ზმანების ჩეხვა,
როცა სიცოცხლეს სიცოცხლე უჭირს
სამოთხის კარში ნურასდროს შეხვალ.
ხანდახან სხვისი ცხოვრებით ვმისნობ
ჩემს საფლავზე კი გაშალეს კარტი,
სამარე ალბათ ვერასდროს მიცნობს,
ისე შემმოსეს საუფლო კვართით.
გაურჩებული იმედი დავკალ,
ყელს გამოვღადრავ სინაზეს, კდემას,
როცა ასრულებს სიკვდილისს ამკალს –
თვითონ უწყალოდ სიცოცხლით კვდება.
და მე არ მინდა ოცნებით ფუჭი
მომავლის ბნელი ზმანების ჩეხვა,
რადგან სიცოცხლეს სიცოცხლე უჭირს
სამოთხის კარში ვერასდროს შეხვალ.

10.II.2000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მე ისე ვმღერი,
როგორც შენ სტირი
და ეს სპექტაკლი
მაგონებს ფიფქებს...
შენ - ჩემი მტერი,
მე კი სულ მცირე
მინდოდა დაღლილს,
რაც ჩავიფიქრე.
შენ ისე სტირი,
მექცევი ფიქრად,
ნაზამთრალ სითბოს
რომ ფანტავ შორით.
მე ერთი მწირი
ფიფქივით მიმქრალ
სიყვარულს ვითხოვ
სიძულვილს შორის...

5.III.2000.

უბედურების ტრიოლეტი

აჰა, დრო ნახა, სკივრს ახადა თავი პანდორამ:
„წუთისოფელის გემო სინჯონ, დაე, მდგმურებმა!“
ქართველებს, - ხედავ? - უდგიათო კვლავ
ტაშ-ფანდურა,
აჰა, დრო ნახა, სკივრს ახადა თავი პანდორამ
და ყველა ერთად უბედური ფეხით გაგვტორა.
რადგან ამაზე მას ვერავინ დაემდურება:
აჰა, დრო ნახა სკივრს ახადა თავი პანდორამ –
„წუთისოფელის გემო სინჯონ, დაე, მდგმურებმა!“

12.III.2000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტუდენტური

წელი გავიდა ხუთი, ვით წუთი
და ერთი წამიც ვერ შევიცადე,
ჩაუქრობელი ცეცხლით ვიწოდი
მიწიდან ცამდე, ციდან მიწამდე.
დროა და ვხვდები წითელ დაფიონს,
ვიდრე ცხოვრება წუთებს იცოხნის
უნდა მოვასწრო, ცაზე დავფინო
ალმები ჩემი წრფელი სიცოცხლის!

20.VII.2000.

გორის ციხე

გიყურებ მთაზე გაწოლილს,
როგორც ჯანგამქრალ ბებერ ლომს.
წაგექცა დროის სასწორი,
წარსული სისხლად შეგერგო.
შენი ფესვების მოწამე,
მაგ ქონგურების ნანგრევის,
აქეთ-იქიდან გლოცავენ
გეგუთის ფუძე და გრემი.
გიყურებ - აღმაშენებლის
ქართლზე გადებულ მარჯვენას,
ნეტავი ძველი მშვენებით
ის საქართველო მაჩვენა!
ის საქართველო მაჩვენა:
„ჰკა მაგასა“ და „აბა ჰო“...
რომ ერთხელ მაინც ქართველად
გაჩენა დავიტრაბახო.

10.X.2000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხელი პორტრეტი

რატომ ჰგავხარ ურჩობით ავაზებს და გავაზებს?!
ვერავინ გეუბნება სიყვარულზე შენ უარს,
თვალი როდის მოსწყდება ველოდები გავაზე
მთვრალ ქმარივით მოტმასნილ აბრეშუმის
პენუარს.
წვივთა თილისმიანი რა შელოცვა გცოდნია!..
ვერაფერი გავუგე უჩვეულო კილოკავს:
კმაყოფილი იერით ზიხარ, როცა ცოდვიან
მუხლებს გადარეული, შლეგი მზერა გილოკავს.
გადავივლი მწყურვალი ვნების ცხარე
ქვიშრობებს,
შენი გაგოროზება მწველ სურვილებს დადაღავს...
მე და ჩემი რითმები ძველ მოლბერტზე
ვიშრომებთ –
ჩვენს ნახატ მკერდს სიკვდილმაც ვერ დაადოს
ყადაღა!

19.XII.2000.

* * *

არ შეგვინდო არავინ,
გვიერთგულა ვერავინ,
ლპება პაპის მარანი
უპატრონო, ვერანი;
უპატრონო, ვერანი
ლპება პაპის მარანი,
გვიერთგულა ვერავინ,
არ შეგვინდო არავინ...

18.I.2001.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გული

მებადურივით ხელში მიჭირავს
ფართხალა გული – ოქროს ქორჭილა,
ნატვრისთვალივით დამიმორჩილა,
ზურგზე ოცნება გადამიჭირა.
და ვცვლი სიცოცხლეს მის ერთ ნატვრაში
და არ მაქვს სასო მე წარკვეთილი,
დამბადებელმა ლოცვა კეთილი
დაბადებისას დამანათლა შინ.
გულს დავატარებ, როგორც ამულეტს,
დრომ „ამიხვია“ თხელი ფერდები...
ბოღმით გავძეხი და არ ვბერდები,
ვით ჭირნაჭამი ჩემი მამული.
ფსკერი სავსეა წმინდა ოქროთი,
ზედ გადაშლილა ცრემლის ლაგუნა,
ცხოვრებამ წლებზე დამიკაკუნა
(მე ხომ ყმაწვილურ ნდობით მოვქროდი).
მებადურივით ხელში მიჭირავს
ფართხალა გული – ოქროს ქორჭილა,
ნატვრასავით რომ დამიმორჩილა
და ზურგზე რწმენა გადამიჭირა.

2.I.2001.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქური

მიმზერს ვიღაც ცვედანი
და ეტყობა თვალებში:
დარჩა გაუცვეთავი
მეუღლის ყურთბალიში.
გადამივლის სიბრაზე
თავს ისევ ვგრძნობ „არიფად“,
სისხამ დილის სიფთაზე
სინჯავს ყველა მარიფათს.
ძველ თბილისის ქუჩებში,
ვით სახე ნამუშტარი,
თმათეთრი ვით ქუჩეჩი –
მხვდება სალმის მუშტარი.
აქეთ თეთრი გულ-მკერდი
მოღელავს ქალბატონის,
ალბათ, წუხელ უმღერდა
იგი თავის ადონისს.
მიხმობს მტკვარი და როცა
შევასკდებით შუბლებით,
იმ სიყვარულს დავლოცავ
ურჩი შვილის უფლებით.

3.II.2001.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრიმადონა

ალალ გულზე ვკოცნი მე შენს ნატერფალებს,
მთვრალი ღამე სხივმა ჩიხში შეათრია...
შენი მკერდი ვნების დიდი თეატრია
და მის შავბნელ კულისებში მაფერფლავებ.
მალე, ალბათ, დასრულდება ვოდევილი,
ისე, როგორც ბნელი ღამის ანშლაგები.
ჩაგეკვრება მხურვალედ და გაშმაგებით
ვინმე უცხო ოცნებიდან მოდენილი.
და დღეებიც ისე სწრაფად ჩაივლიან,
მწვერვალისკენ როგორც უცებ აიარეს...
დატოვ მკერდზე მაგ ტუჩების ნაიარევს
და ოცნებას თმახუჭუჭა აივნიანს.

12.II.2001.

* * *

რა კარგია მზის დახრისას გორი...
ს. ჩიქოვანი

მე არ მივლია მონმარტზე
და არ მინახავს არბატი,
დრო კი გალეწილს მომათრევს
მისი შხამით და შარბათით.
არა მწყურია სისხლი და
არ მელანდება კორიდა:
მზის სხივმა ამომისხლიტა
მე „მზის დახრისას“ გორიდან.

14.II.2001.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

შენი ნაზი ზმანება
მზის სხივივით ამივლის,
თავი არ დაგვანება
ცეცხლმა მე და ამ ივლისს.
როგორც უცხო შედევრი
გოგმანობენ გავები,
შიშველ მზერით შევთვერი,
ოცნებებში გავები.
ისევე მენატრები
შენი სუნთქვით, ნოტიო,
აბზრიალდნენ კადრები,
აწკრიალდა ნოტიო
და ამ ბზრიალ-ტრიალით
სამარეში ვეშვები
და მინდორზე ტრიალი
ყრია ვნების ეშვები.
გამიჭერი ხელადა
შენ, საფლავი ნაზთითავ,
ძუძუ, როგორც ხელადა,
შემომიდე თავთითა!

2.III.2001.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მე შენს სახეზე დავინახე სისხლი ნარევი
და კიდევ ერთხელ დავიბადე მშიერ პოეტად,
ვერ დავაბიჯე სიყვარულის ტანჭრელ მოედანს,
ისე დავწყლულდი ოცნებათა ეკალ-ნარებით.
და თითქოს გელი საუკუნოდ, გელი ოდიდან
თვალცრემლიანი სტრიქონების მთვრალი
ამქრებით,
როცა შორეულ ციალივით შენში ჩავქრები,
სიკვდილს მომტაცებს წამწამების გილიოტინა.
მსურს ნაბოლარა იმედივით მშვიდად
გინატრო,
გავაჯირითო სიხარული ზეცის ტატნობზე,
ვით დედამიწას ეფერება სხივით სათნო მზე –
შენი ალერსის ზიარი ვარ და მობინადრე.
ფეხქვეშ გაგიფენ ჩემი გულის წადილს
უამრავს
და იამაყე, რომ გნებდები ასე უომრად!

17.IV.2001.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

22 წელი

ახლა ის დროა, როდესაც
გარშემო ყველა მოდიან,
მალე დადგება დრო, როცა
გარშემო ყველა მიდიან.
შენი ალერსი ძვირფასო
არასდროს გავა მოდიდან,
გარეთ გამოდი, ვარსკვლავებს
შეხედე, რა ამინდია!

23.V.2001.

* * *

ვერ შეიქმნები პოეტად,
აღმა ხანი და დაღმა ხან.
პოეტად უნდა იშვა და
პოეტად უნდა დაგმარხონ!

26.IV.2001.

ბათუმური საღამო
(„პეიზაჟი“)

ზღვამ მზე გადაყლაპა –
მწიფე ფორთოხალი,
ქალი ბიჭებს „აბამს“
შვლის ნუკრივით „მფრთხალი“.

6.V.2001.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცრემლების წარმომავლობა

შენს სითამამეს არ აქვს საზღვარი,
ვცდილობ, არ მექცე ხვალე ცრემლებად.
თვალთაგან მოსდის ზღვისფერ ცას ღვარი
და გახურებულ შუბლზე მევლება.
როგორც თითების ერთი შევლება
ჩემი წილი და შენი წელია,
დღეს ყველა ძუძუს თეთრი ცრემლები
ჩემეულ ნეკნის სითბოს წველიან.

21.V.2001.

„ვერის უბნის მელოდიები“

მკერდი ფეხზე დგას – როგორც ჩახმახი
და მშვიდად ელის ჩემზე დაცემას,
წინ-წინ მივდივარ ჩასვლა ჩაღმა ღირს,
რომ არ შევასკდე მის აღტაცებას.
არადა, გვერდი როგორ ვუარე
დღემდე ძუძუთა რძისფერ ტალანტებს,
ვესიოები შავ-თეთრ ვუალებს
ძარღვში უტკბესი გრძნობის დავლამდე.
და ის პირველი, მე რომ დავლანდე
თვალახელილმა ყუათიანი,
მომხვდება როგორც ყაჩაღს თავლამდე
ნაგლეჯი ტყვია უათიანო.

20.VI.2001.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღმერთო, მაღალო!

არც დანტესი მყავს, არც გონჩაროვა,
რომ გული ვინმეს ტყვიას ვახალო...
შენი ძე ციდან როდის ჩამოვა
ღმერთო, მაღალო!
ცოდვებისათვის ვინღა მომიზღავს,
ეშმას ვუცხადებ სულში ახალ ომს,
ბოლოს შეგვინდე ყველა მოსისხარს
ღმერთო, მაღალო!
გზადაგზა ვიღებ ცოდვებს ნისიად
და მინდა ტანჯვაც დავიაღალო,
ეს ლექსი ჩემი პარაკლისია
ღმერთო, მაღალო!

9.VII.2001.

* * *

თემურ ჩალაბაშვილს
(დაბადებიდან 50 წლისთავისათვის)

კაცია ერთი, კახელი,
ალალი, ვით ხმა ფანდურის.
ვერაფრით ვერ გავახელეთ –
ყველა სვლა იცის, ფანდური.
დაგვიმეგობრა, – ვიძმობდეთ,
ნაღდია, არ ვიზარალებთ
(ამაღამ უნდა ისმოდეს
მამა-პაპური ჰარალე).
გაბრწყინდეს ორმოცდაათი
თილისმა და ელექსირი,
ღმერთმა ზეცაზე ტაატი
ნუ მოუშალოს ლექსივით.

10.X.2001.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საჩივარი

დამჩემდა უძილობა,
უძილობა დამჩემდა,
ვიჩივლებ უცილობლად
ჭაღარა დედაჩემთან.
წუთისოფლის ამკიდეს
ზურგზე ვალი მრავალი,
ცოდვას ნახავ აქ იმდენს,
რის ვალი ან რა ვალი!
ძმები, მე რომ დავთოფე
სევდებით და დარდებით,
თურმე, ისე დარდობენ,
მათზე ფიქრით ვთავდები.
უძილობა დამჩემდა,
დამჩემდა გულცივობა...
ჭაღარა დედაჩემთან
ვიჩივლებ უცილობლად.

5.II.2002.

K 246314
3

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხი

ხალხი, რომელიც ქუჩაში დადის
და გაჩენიდან ტკივილი სდევდა,
ვისაც არა აქვს არაფრის დარდი,
ვისაც არ შერჩა არაფრის სევდა.
ვისაც აღარ აქვს გული და სული,
ვინც აღარ უსმენს სხვის თვალის
ჩივილს,
ვისაც აცრუებს დედა და ცოლი
და ვისაც ჰყიდის მამა და შვილი...
ხალხი, რომელიც ქუჩაში დადის
და აღარა აქვს არაფრის შიში,
გამაძღარია სევდით და დარდით,
აუტანია წერას და შიმშილს.
ხალხი, რომელიც სხვა ჯიშზე მალე
წამოდუღდა და კიდეც დაღვინდა,
ერთს დაიძახებს შიშნეულ „ალლეს“
და ჯოჯოხეთის კუპრში ჩაყვინთავს.

5.IV.2002.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამოთხ–ეჰ...

შენს მკერდზე მინდა ავტირდე,
იქნება, გულში ჩამიკრა,
სამოთხის ვაშლის სამ ძირზე
გამიჩენ სამ-ოთხ საფიქრალს.
სამ-ოთხს მომიწყვეტ ნაყოფს და
გემოს მაგემებ სამოთხის,
სანამ ნაკნებში ჩაყოფდა
უფალი თავის სამ-ოთხ თითს,
სანამ ერთ გზაზე შექმნიდა
სავალ ჯოჯოხეთ-სამოთხეს,
რად მომაცალა ნეკნი და
რად არ დაფიქრდა სამ-ოთხჯერ?
სიძვა-სიმრუშის არაკი
სანამ უწყალოდ ჩამოთხზეს,
რატომ არ იაგარაკეს,
არ გაითვალეს სამ-ოთხზე;
ახლა აღარ გვაქვს ნაყოფი
და უკვდავების ვჭამოთ ხე!..

10.IV.2002.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუცლადღება

ღამისგან დილა ფეხმძიმედ დარჩა –
ფრთხილად ერხევა უცხო მუცელი,
ბნელმა შეაბა კონკია ფარჩა,
ღრუბლის ლენცოფა შემოუცელა.
დაბადებული აღარსად არ ჩანს:
არც „ათფურცელა“, არც „ასფურცელა“,
ორსული დილა იკიდებს მარჯანს
გაუჩენელ დღეს გაზრდის ურწეველად.
უზნეო დღე კი ძუძუთი არ ჭამს,
მიტომ იზრდება ასე ურძელა.
ღამისგან დილა ფეხმძიმედ დარჩა
და ახალ ღამეს დღე გაუგრძელა.

19.IV.2002.

კონფიდენტის ნაუბარი

ლექსის წერა მომინდა,
ღმერთო, ერთიც შემინდე,
ვით ქურდობის მომენტი –
მეწისქვილე – მემინდეს.
თუ გამიწყრა ტაროსი,
ან ვიღაცის ნარძლევი,
ბწკარზე, როგორც ტაროზე
დათვლილია მარცვლები...
გულო რით ვერ აივსე
ასე მარცვალ-მარცვალო,
ნაბოლარა აისზე
მშვიდად რომ გენაცვალო!

16.V.2002.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საღეგრძელო

ვაკეთებ, რასაც გული მკარნახობს –
გული, რომელიც მუდამ ნაღდია,
ღამე არ გავა სიზმრად არ მნახოს,
ვიდრე დაისის ფარდას ამხდიან.
ვიდრე მოიხსნის მზერა ტრაფარეტს
და ბნელი დაგლეჯს თავის მანტიას,
გულია, მკერდით რომ ვერ დავფარე
და განთიადის ფერად ანთია.
სავსეა, როგორც წმინდა ბარძიმი,
საალავერდოდ ჩემს ძმებს გადავცემ:
„ღვთის სახელს ვფიცავ არ დაგამძიმებთ
და ვერც გამოცლით ათიათას წელს“.

18.V.2002.

ასოციაცია „ჯოჯოხეთი“

ოცდამესამე წელი შემება,
ოცდამესამე წელსვე შევები.
არ მომწონს დროის უკუჩვენება,
დროსავით სდუმან სახლში ჩვენები.
ოცდასამი თუ გადავიტანე...
(არ მიყვარს სამი, ნავსი რიცხვია)
გარშემო თქვენი თეთრი ტიტანი
განვლილ წლებივით შემომიწყვია.
ლექსი ბრმასავით დამიწერია,
ანდა, რად უნდათ ბწკარებს ჭაღები?!
ჩემი ყველაზე დიდი მტერია
ახლა აისის კარის გამღები.

18.V.2002. ღამის 3 საათი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემიგრანტული

ვერ გიშველის შენა პარიზი და სენა,
ვერ გაუგებ, ალბათ, მონმარტსა და არბატს
და ქართულმა ზენამ თუ კვლავ გაგიხსენა,
როგორც ქალწულს ხალვათს, დაეწაფე
ხარბად.
მოინატრე ხანა მდინარე და ყანა –
გლეხი კაცის ოფლი ხოდაბუნში სოფლის,
თუ დრომ დაგახანა გულის მოსაფხანად
კრულვა წუთისოფლის, მერე მისი
მნდობლის.
თუკი ჯანდაბამდე გზას დაუთმობ ამდენ
კუმირსა და რეგენტს, უვიცსა და რეგვენს...
სადღაც ჯანს აბანდებ, უსმენ უცხო
ფანტელს
და ზარებიც უცხო გრიგალებზე რეკენ.

7.VI.2002.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარძლის ქორწილი

პატარძლის ქორწილში გაწვიმდა,
მზერა ჩამიმუქდა მაყარის:
ეგ ბროლის თითები ყაწიმთა
სინაზით მკერდზე დამაყარე...
ცრემლი რომ ზეციდან წავიდა
და მსუბუქ მიწაში ჩაგრილდა,
ანაზდად მომესმა წამიდან
გოდება ჯოჯოხეთს ჩაყრილთა.
სტრიქონის სიმივით გაწელვაც
შენსავით სხვა მდედრებს ვარჩიე,
რაც უნდა მომიზღას ამ წელმა
არასდროს არ ვკითხავ მარჩიელს.
გაჭენდა ღრუბელი უბელო,
ვით ზეცის ნაცემი შავი ტყვე
და სულ უცაბედად ღრუბელო
მე შენი სევდები შავიტყვე.

29.VI.2002.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურვილი

აციმციმდა ცისკარზე ანთებული დილის მზე,
რასაც ვერ დაეწევა ბრწინვალება მნათობთა.
შემომიბნევს სარკმლიდან მის სხივისფერ
თილისმებს –
დილით ზეცა განაზდა, წუხელ, თითქოს მათოვდა.
ანდა, თითქოს მაწვიმდა, რაღაც აკურატულად,
სულ არ იყო ავდარი, წრიალებდა ნიბლია,
წასაკითხი წამები – ჩემი მაკულატურა –
მომაკვდავთა უნარმა ირგვლივ შემომიბნია...
წუხელ, თითქოს მათოვდა, დილით ზეცა განაზდა,
სიცოცხლემაც გაშალა დღის ნათელი აფრები
და მოვიდა სურვილი უცაბედად, ანაზდად:
შენთან გამოთხოვების და მიწიდან აფრენის.

20.VII.2002.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველ სიშიშვლიდან

მოდის სინანული პირველ სიშიშვლიდან,
შიში გამოატანს ცრემლებს სამართლებრივს,
რომლის ზიგზაგებსაც თვითონ შიში შლიდა
ტკბილი საწამლავით, ანდა სამართებლით.
მოდის სინანული, რაღაც ხელაღებით,
ბზრიალ-ტრიალით და ჩქრიალ-ჩანჩქერებით,
რათა ჩამეხუტოს ძველი შელაღებით,
პირზე კოცნითა და თვალში ჩაცქერებით.
ასე მოხიბლულნი მოვალთ მომავლები
ძველი ტკბობითა და ძველი სურნელებით,
სევდის მოქნილ წელზე ხელებს მოვავლებ და...
ჩემს ბედს ინატრებენ ჩემებრ სულელები.

26.VII.2002.

* * *

ჩემი ნათელი იწვის,
ბნელი ირევა,
შემრჩა ნაძვის ხის წიწვი
და ატირება.
ცრემლი გაჰყვება ამ წელს
თილისმიანი
და ლექსში გადაარწევს
დილის ნიავი.
რითმა შემიდგავს – ღვიძლი
შვილი – ყავარჯენს,
როცა ძილსა და ღვიძილს
ღმერთი გაარჩევს.

28.VII.2002.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველო წელიწადო

მაგრად ჩამეხუტე ძველო წელიწადო,
ძველო წელიწადო მაგრად ჩამეხუტე.
სადღაც მიმავალმა უნდა შევიცადო
წელი დამეწიოს მე ოცდამეხუთე.
უნდა დავასრულო ახალ ოცეულის
ყველა სიზურმუხტე, ყველა აისები,
სანამ დამწიფდება სისხლის ბროწეული
და შიგ მოწეული ფერით ავივსები.
სანამ გაივსება ოქროს ბარძიმები
ყოველ ნიშისა და ყოველ სალოცავის
და ჯოჯოხეთურად კევრის დამძიმებით
კალოს უკეთურნი აღარ გალეწავენ.
მაგრად ჩამეხუტე ძველო წელიწადო,
რომ არ ჩავეძიო ახალ წელიწადებს,
მაგრამ მიმავალმა თუ ვერ შევიცადო:
ნუღარ გაიკვირვებ, ნუღარ შეიცხადებ,
შენც ხომ მოგეფერე, შენც ხომ შეგიცადე!

31.VII.2002.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ოკეანე ახმაურდა,
ახმაურდა ოკეანე
ოცნების და ნატვრების.
სულს რაღაცის ნახვა უნდა
გულს კი – ქალის, კოკიანის,
ან ვიღაცის ნათრევის...
მარტოობამ დაასრულა
საუკუნო შემეცნება
ტაძართა და ჰარემის,
შვეულიდან თარაზულად,
ალბათ, მალე შემეცვლება
საშინაო გარემო.

29.VII.2002.

* * *

თვალს მივადევნებ სამყაროს ლივლივს
მამრის ინსტინქტის გაორმაგებით
და უცნაური მარშრუტით ვივლი –
გზებით სატანის, გზებით მაგების;
სანამ დაშრება დუმილით სახე
და ღმერთი ხელებს გამოიწოდებს...
ვერ მივენდობი იცოდეთ სხვა ხელს,
ვერ მივენდობი სხვა ხელს, იცოდეთ!
მჭვირვალე სულში უნაზეს კრისტალს,
წარსულის ლოცვას მისხის მისხიდან
გამოვთხოვ უფალს, რამეთუ ქრისტემ
ჩემი ცოდვებიც გამოისყიდა.

2.VIII.2002.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არმაგედონი

ჩემს უკან ნამწვი წლების ბოლი დის.
მესმის კაშკაშა სტვენა ბოლიდის,
ან ცრემლიანი და ობოლი დის
მწარე გოდება.
ბრძოლა იქნება დაუნდობელი,
აღარ იტირებს ჩემი დობილი,
რადგან კათარსისს „ძე შეცთომილის“
არ ელოდება...
გზაზე სხვა დებსაც ვხვდები ბლონდებით,
ღამე სავსეა ციურ „ლონდებით“,
თვითონაც მიკვირს, ისე ვლომდები
ანდა ვვეფხვდები;
სახეებს ვხედავ რა მუდარიანს,
შორს ვინმეს აღრჩობს ამუდარია,
ღმერთში ავდარი, ანუ დარია,
უკვე ვერ ვხვდები...

20.VIII.2002.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნუ მეტყვი უარს პაემანზე“

ნუ მეტყვი უარს პაემანზე,
მალე სამყაროს დასასრულია!
და გაშლილია პასიანსი,
იქნება სულაც, იქნებ სრულიად
დასაღუპავად...
რაღაცით ჰგავხარ მონატრებას
ყველაზე პირველს, პირველს სრულიად
და გულით გინდა მონმარტრების
ღრენა, რომელიც წყევლა-კრულვიან
ღიმილებს აჩენს.

15.X.2002.

რაღაცა ბრწყინავს

რაღაცა ბრწყინავს აღმოსავლეთით –
არც მზე არის და აღარც სმარაგდა,
მე შენი მტრების ახლოს დავლევდი
სისხლს, ცხელ გულში რომ მოუმარაგდათ.
რაღაცა მიჭერს, რაღაც მაკავებს,
ალბათ, მოველი აპლოდისმენტებს,
მე დავიცლები ცეცხლად აქავე,
თუ არ მომიცდი თაფლობის თვემდე.
ანდა ის, რაც შენ მოგდომებია:
ზეცის გუმბათი, ღმერთის კანკელი,
ამ დაისს, მთვრალს, შემოდგომებიანს
მოაქვს კანკალით.

26.X.2002.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

გული ხელით მიჭირავს –
ფეთქავს არც თუ ურიგოდ.
და თუ კარგი ბიჭი ვარ,
თუ ვაჟკაცი ბიჭი ვარ,
თუ გულუხვი ბიჭი ვარ...
უნდა გავიმეტო და
თითოეული ძგერება,
როგორც ლექსის ბგერები,
გამვლელთ ჩამოვურიგო!

26.X.2002.

* * *

შუბლით მოვქრივარ დედამიწისკენ
და კუთვნილ საფლავს დავენარცხები.
წუთისოფელო, ნუ შემიზიზღებ
ჩემი მარცხებით.
ჩაიფარცხება ყველა კივილი,
მისი სიმძაფრით ველარც მე ვძღები...
სულს საშობაო ტკივილები
წამოეწყება.
რა გაეწყობა, ასე ნებაზე
რახან დაგლიჯეთ ჩემი აფრები,
მაშინ საფლავის გახსენებაზეც
ნუ იზაფრებით!

28.X.2002.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ახლოს დავდგამთ საწოლებს
მე და ჩემი საცოლე,
გულისპირს და იღლიას
ოცნებებით დაუღლი.
გულზე შემომაწოლებს
ჩემი ნაზი საცოლე,
რაც თავში ქვა მიხლია,
რაც ზმნა დამრჩა საუღლი...
რაც ზმნა დამრჩა საუღლი,
რაც თავში ქვა მიხლია,
ჩემი ნაზი საცოლე
გულზე შემომაწოლებს.
ოცნებებით დაუღლი
გულისპირს და იღლიას,
როცა დავიდგამთ საწოლებს
ახლოს მე და საცოლე.

5.XI.2002.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ვერ მიდიხარ „ვერამდის“,
რადგან ამბობ „არას“
და სახელურს ვერანდის
მკერდის სითბო ფარავს.
მსგავსად გადმოზნექილი
არ მეხილე, ვაზის...
ძუძუს შორის ნეკივით
ნაზი ხალი გაზის.
შენს მეგობარ ამალის
ქუჩა მოაქვს ხარხარს,
პატარა და ფრთამალი
აივნის მტრედს გავხარ!
ცოტაც გადმოიწიე,
გამიღიმე ერთი
და მესროლე მიწიერს
ზეციური კერტი.

18.IV.2003.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოვლენ

ჩვეულებრივი „სოლო“ დინებით
წავლენ ჩვეული მოლოდინები,
ღვთის ნაჩუქარი ავგაროზებით
მოვლენ „ლიზები“ ანდა „როზები“;
მოვლენ „როზები“ ანდა „ლიზები“
მოცივილურო ვანდალიზებით,
ეს დასაწყისის დასასრულები,
ეს დასასრულის დასაწყისები...

18.IV.2003.

მაისი ულექსოდ

უჩუმრად მკერდი გაევსოთ
მრავალ ნაცნობთა ასულებს
და ვემსგავსები კაენსო –
ძმის მკვლელობას რომ ასრულებს.
მაგრამ მე უფრო აბელთან
ვეძებ რაღაცა საერთოს,
თუმცა, სარკმელშიც დაბნელდა,
აბელსაც სხივი წაერთო.
და თუ სისავსე ასულთა
სხვებს მოთმინებას ულევსო,
მე იმას ვნანობ: გასრულდა
მაისი როგორ ულექსოდ.

3.VI.03.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა

როცა ღამეებს წამებით ათევ,
როცა სამყაროს სხვა მზერით უმზერ,
როცა გრძნობ ყელზე თითებს და თათებს
ან სევდის ერთგვარ სიმძიმეს გულზე;
როცა ნერვების ნაწიბურ ძაფზე
შენი ალალი ოცნება გიდევს,
როცა სიკვდილი, სიცოცხლით სავსე
გაგიყოფს გულის ბუნებრივ ძგიდეს.
როცა ჯოჯოხეთს მოივლი რაშით
და აქეთ დატოვ სხვა გულებს ფეთქვით,
მე მაშინ გეტყვი საქმეა რაშიც
ანდა ოდესღაც ყოფილა მეთქი.

20.VI.2003.

ფეხზე ჩაიცვი

ფეხზე ჩაიცვი მარტო,
სხვა არაფერი გინდა!..
გიხდება ჭრელი მანტო
და უფრო – ჭრელი წინდა.
მზერა გაქვს უფრო მჭრელი,
ვიდრე სითეთრე წვივის –
გაცვია წმინდა ჭრელი,
წვივიც კივის და წივის.
არა მგონია გარგოს
ეშხმა ოქროს და ფულის,
ფეხზე ჩაიცვი, კარგო,
არ გაგიცივდეს გული!

26.I.2004.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს

ვფიცავ დედაშვილობას, ქალბატონო მარიამ,
როცა თქვენსკენ მოვდივარ, ისე მომიხარია,
თითქოს ვხედავ ჩაგრულთა მოამაგე თემიდას –
თუმც გახლავართ ჩაკრულოს და იბერთა
თემიდან.
იბერების, კოლხების რიდი ჰქონდათ ელადელთ,
რადგან ჩვენს წინაპართა მახვილებიც
ელავდნენ,
მარიამ და ქეთევან რადგან გვზრდიდნენ
დიდებით...
(სიფერმკრთალეს ვფიცავარ თქვენი ნაზი
თითების)
ქალბატონო, დედაო, თქვენს თვალისჩინს
ვფიცავარ,
თქვენი ნასათუთები ზეცა ვარ და მიწა ვარ;
ქართვლის ზღვა და ხმელეთი, მთა და ბარი,
მდელო და...
გააგონეთ უფალს ხმა ძველი საქართველოდან!
რომ მოელის ქართული ზეცა ამინდს დარიანს,
მჯერა, დედაშვილობას, ქალბატონო მარიამ.

17.IV.2004.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

შენ ყველა შენი მონა გგონია,
რადგანაც წვივ-მკერდს აულამაზდი...
მაგ თვალებთან ხომ მონაგონია
კრთომა და ბრწყინვა აჰურა-მაზდის.
დიახ, სულ შენი მონები არი,
სადაც კაცს ნახავ ცრემლზე დაჩოქილს,
გული გაიღე მონებიერე
და თითო კოცნა ყველას აჩუქე.
მერწმუნე, ასე მოწყალებიანს
ღმერთი მიგიღებს ზეცაში უფრო,
უბრალოდ, ფიქრი მომძალებია,
როგორ გაგიშვებ ანგელოზს უფრთოდ.
აზრმა ფიქრებში ამთარ-დამთართა,
შენ მალე წახვალ მზის გოგონებთან
და ჩემში უკვე ამგვარ ზამთართა
ასჯერ განვლილი ზის მოგონება.

23.VIII.2004.

* * *

მოვდივარ, ჩემს გზას მოვტირი,
მძიმე გზა მქონდა, მგონია:
დამიზნებული მორტირი
და მწარე მელანქოლია.
შენ დევხარ ნატურმორტივით –
თეთრი მკერდი და თოლია,
თეთრი მკერდივით მოტივი...
თეთრი მკერდივით თოვლიან...

22.I.2005.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცვილი

ვერ დავამთავრე მიძღვნები,
სალამოც ლექსით დავიწყე.
შუადღით წინ ნუ მიძღვები -
საკუთარ გზა-კვალს მავიწყებ.
მეც მოგდევ შელოცვილი და
იწყება სევდის ბარდნები,
შეგქმენი ჩემო ცვილიდან,
ახლა არაფრით არ დნები.
ფიქრები დაგკანკალებენ:
არ დადნე ანდა არ ადნე;
არჩევანს მთხოვენ ქალები,
არადა, უტოვ არადნებს.
სხვებს აღარაფერს უტოვებ,
მუდამ რომ შენს თავს უმღერდი,
გავბრაზდი, დაგიუთოვე
მკერდით ეგ ცვილის გულმკერდი.
აღსდექი, მაინც არ დნები,
ვერ გაგასწორე მიწასთან!
არც ძალით დნები, არც ნებით,
გათენდა, ღამეც მინაზდა;
მაინც გავიგებ ვინა ხარ,
გასანთლებ, მოსაღამოვდეს!
ღამეს კი შემოვინახავ:
დილის ბალიშქვეშ ამოვდებ.

12.II.2005.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

ახალ სამაჩაბლომდე 3
სევდიანი ლექსი 4
ახალი წელი 4
რადგან სიცოცხლეს სიცოცხლე უჭირს... 5
(მე ისე ვმღერი...) 6
უბედურების ტრიოლეტი 6
სტუდენტური 7
გორის ციხე 7
ცხელი პორტრეტი 8
(არ შეგვინდო არავინ...) 8
გული 9
ქალაქური 10
პრიმადონა 11
(მე არ მივლია მონმარტზე...) 11
(შენი ნაზი ზმანება...) 12
(მე შენს სახეზე დავინახე სისხლი ნარევი...) 13
22 წელი 14
(ვერ შეიქმნები პოეტად...) 14
ბათუმური საღამო („პეიზაჟი“) 14
ცრემლების წარმომავლობა 15
„ვერის უბნის მელოდიები“ 15
ღმერთო, მაღალო! 16
(კაცია ერთი, კახელი...) 16
საჩივარი 17
ხალხი 18
სამოთხ–ეჰ... 19
მუცლადღება 20
კონფიდენტის ნაუბარი 20
სადღეგრძელო 21
ასოციაცია „ჯოჯოხეთი“ 21
ემიგრანტული 22
პატარძლის ქორწილი 23
სურვილი 24
პირველ სიშიშვლიდან 25

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ჩემი ნათელი იწვის...) 25
ძველო წელიწადო 26
(ოკეანე ახმაურდა...) 27
(თვალს მივადევნებ სამყაროს ლივლივს...) 27
არმაგედონი 28
„ნუ მეტყვი უარს პაემანზე“ 29
რაღაცა ბრწყინავს 29
(გული ხელით მიჭირავს...) 30
(შუბლით მოვქრივარ დედამიწისკენ...) 30
(ახლოს დავდგამთ საწოლებს...) 31
(ვერ მიდიხარ „ვერამდის“...) 32
მოვლენ 33
მაისი ულექსოდ 33
როცა 34
ფეხზე ჩაიცვი 34
(ვფიცავ დედაშვილობას, ქალბატონო მარიამ...) 35
(შენ ყველა შენი მონა გგონია...) 36
(მოვდივარ, ჩემს გზას ძოვტირი...) 36
ცვილი 37

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი	თემურ ჩალაბაშვილი
მხატვარი	ჟუჟუნა ვაშაგაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	ნიკო ბურჯანაძე

გამომცემლობა „ლეგა“
თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5

2ц. 50ი
П1/929
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ სუხიტაშვილი

დაიბადა 1978 წელს ქალაქ გორში. 1995 წელს დაამთავრა სოფ. კარალეთის საშუალო სკოლა, ხოლო 2000 წელს – ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-თელოლოგიის ფაკულტეტი. ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 2005 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია საქართველოს ისტორიის სპეციალობით.

1998 წლიდან მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდება რეგიონულ თუ რესპუბლიკურ პერიოდულ პრესაში. ლექსების პირველი კრებული – „ღამის წერილი“ გამოსცა 2000 წელს.

ამჟამად მუშაობს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის კათედრაზე მასწავლებლად.